№ 11 16 იანვარი, ოთხშაბათს 1866—1880 16 იანვარი, ოთხშაბათს № 11

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროება" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба" - „Иверія"

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

### ცალკე ნომრები „დროებისა" ისყიდება:

**თფილისში:** შაეერდოვის სააგენტოში (გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

---

რადგან გუშინ-წინ, 14 იანვარს, საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს დღესასწაული იყო, ამის გამო გუშინ, სამშაბათს, გაზეთი არ გამოსულა.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი,** 12 იანვარს. „მთავრობის მოამბეში" სწერია: კანნი, 11 იანვარს ხელმწიფე იმპერატრიცას კარგად ეძინა, თუმცა ცოტად ახველებდა, ოფლი ცოტად მოუვიდა, შუარი დღის განმავლობაში მადიანად მიირთვა. სიცხე საღამოზედ ჰქონდა 38, მაჯა 108; დილით სიცხე 37,8, მაჯა 116.

**ლონდონი,** 12 იანვარს. თეჰერანიდამ იწერებიან, რომ რუსეთს ხივის ხანთან პირობა შეუკრავს ნავების გასვლის თაობაზედ რუსის ჯარით მდ. ამუ-დარიაზე.

**სტამბოლი,** 12 იანვარს. ამბობენ ოსმალეთისა და სპარსეთის შორის მოლაპარაკება არისო იმის თაობაზედ, რომ სპარსეთის ზღვა დაცულ იქმნესო ერთ უმთავრეს ზღვაზედ მძლიერის სახელმწიფოსაგანაო. ამ საქმეზედ პირ-და-პირი მოლაპარაკება არის გამართული ხონთქრისა და სპარსეთის ელჩის შორის, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ მისულა ხონთქრის სასახლეში.

---

### ერთს პატარა შემთხვევაზე

თფილისი, 12 იანვარს.

დღევანდელ ნომრის „ახალ ამბებში" იბეჭდება ერთი პატარა, ბათუმიდამ მიღებული, წერილი, რომლიდამაც შეიტყობთ იქაურ პოლიციის წვრიმალ მოხელეების ურიგო მოქმედებას. დესიატნიკები ტყუილ-უბრალოდ სცემდნენ ერთს აქაურ მაჰმადიან ქართველსაო, სწერს კორრესპონდენტი, მე გამოვესარჩლე იმასაო და ამისთვის დამიჭირეს, პოლიციაში წამათრიეს და, პოლიციაში მოსამსახურე მწერლის განკარგულებით, სატუსაღოში ჩამამწყვდიესო.

ჩვენში, თფილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში ამ გვარ ურიგო მოქმედებას პოლიციისას ჩვენ შეჩვეული ვართ; გაზეთებში ამაზე უარესი უწესოებაც გამოცხადებულა „წესის დამცველებისა".

მაგრამ ეს იმდენად არასოდეს არ აგვაღელვებს და შეგვაწუხებს, რამდენათაც ის, როდესაც მთავრობისაგან დაყენებული პირები ამ გვარს რასმე ჩაიდენენ ახლად-შემოერთებულს მაზრებში.

მართლაც, ჩვენ ამ თავითვე უნდა ვუჩვენოთ და დაუმტკიცოთ იმათა, რომ რუსის მმართებლობა სამართლიანია, ყველაფერში და ყოველთვის კანონიერად, რიგიანად და კაცთ-მოყვარეობით მოქმედებს; უნდა დავანახოთ, რომ თვით-მწერლობას, ძალდატანებას და უსამართლოებას არა აქვს ადგილი; რომ, როგორც ოსმალოს დროს ჰქონდა იმათში უპირატესობა და ძალა, ისე ახლა აღარ იქნება და სხვ.

და ამის მაგიერად, თუ ჩვენი პოლიცია ისე მოიქცა, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ამას რაღა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ზედ-მოქმედება ექმნება ჩვენს ახლად-შემოერთებულს ხალხზე.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, ბათუმის ქალაქის უფროსი და იქაური პოლიციმეისტერი პატიოსანი და გონიერი პირები არიან; მაგრამ როდესაც ამათი ხელ-ქვეითნი სჩადიან უწესოებას, ხალხი ამ წვრიმალ მოხელეებს კი არ ემდურება, არამედ იმათ უფროსებს და საზოგადოთ რუსის მთავრობას. ერთმა დესიატნიკმა რომ უწესოება ჩაიდინოს, ერთი პოლიციის სალდათი რომ ტყუილ - უბრალოთ სცემს ანუ გააუპატიურებს ვინმეს, ხალხში საზოგადოთ გავარდება ხმა, რომ „რუსობა ჩვენ ხელს არ მოგვცემსო, რუსის ხელში ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიანო, ისევ ოსმალოში უნდა გადავიდეთო" და სხვ.

ამიტომაც, ჩვენი სურვილი და მეცადინეობა ის უნდა იყოს, რომ თანაგრძნობა დავიმსახუროთ ამ ხალხისა და ისე შევაყვაროთ იმათ თავი, რომ თავის სამშობლო ქვეყნიდამ გადასახლება არ იფიქრონ, თუ ეს გვინდა, ისე უნდა მოვახერხოთ საქმე, რომ ამ საზოგადო სახელმწიფოს სურვილსა და მეცადინეობას წვრიმალი მოხელეები და უმეცარი ჩინოვნიკები არ აფუჭებდნენ და არ არღვევდნენ. სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ დიდიდამ პატარამდინ ყველა ჩინოვნიკები მაჰმადიან საქართველოში იმას ცდილობდნენ, რომ ჯერ ჩვენთან შეუჩვევარ ხალხს პატიოსანის მოქმედებითა და კეთილგონიერი მოპყრობით შეაყვარონ ახალი, რუსის, მართებლობა და არ აფიქრებინონ იმათ სხვაზე გაცვლა ამ მმართებლობისა.

---

### ახალი ამბები

ორშაბათს 14 იანვარს წმინდა ნინოს დღესასწაულის დღესა სიონის სობოროში დიდ-ძალი ხალხი დაესწრა წირვასა. რაც გვინახავს და გაგვიგო-

---

## ფელტონი

### ყურში ხელი...

ბატონო მკითხველო! ყოფილხარ იმისთანა ცეცხლში ჩამდგარი, როდესაც გნდომებია რამე საქმის გაკეთება, ნებაც გქონია დართული, სურვილითაც გამსჭვალული ყოფილხარ, ცდა არ დაგიკლია და კი ვერ მოგიხერხებია-რა?

მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცეცხლშიდა ვარ: კალამი ხელში მიჭირავს, ქაღალდი წინ მიდევს, სურვილი მაქვს დავწერო რამ, თითქმის ვალდებულიცა ვარ, და ვერას ვახერხებ კი, თითქო თვალ-ნაცემი ვიყო!...

ამ გვარ შემთხვევაში ძვირად დაფასდება სამკურნალო... ერთს მწერალზედ ამბობენ, რომ იმასაც მოსდის ხოლმე ამ გვარი ახირებულება, მაგრამ საშუალება იცისო: დააფურთხებს ხოლმე კალამს და მაშინ მისი კალამი, პატრონის დაუკითხავად, თავის-თავად მოჰყვება ხოლმე წერასაო!... ვა! ვა! ვა! რა კალამი ყოფილა! თილისმის იქნება, თორემ, თუ უბრალო კალამი იყოს, ერთი დანერწყვება ამისთანა ძალას როგორ მისცემდა!. ადვილად დავიჯერებ, რომ იმან გააფურთხოს და მხედართ-მთავარი გააჩინოს! მაგრამ კალამი რომ გაამლიეროს მითი, ვერ დავიჯერებ...

ამ მწერალს ცოტაოდნად მეც ვიცნობ,—ძალიან ცალ-ფეხი მოლაპარაკე და მოსაუბრე კაცია; სიტყვების გამოთქმა ისე უჭირს, რომ ჭკვიანი აზრები ჩამორჩება ხოლმე, და თუ იმის ნერწყვს ისეთი სასწაულთ-მოქმედებით ძალა აქვს, რატომ იმის ენას არა ჰშველის, რომელიც სულ იმ ნერწყვში უძევს?!

მაგრამ არა, მართალი მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა:

„ის მწერალი ლიტერატურული ქურდიაო; თავის-თავად არც მოფიქრება შეუძლიან და არც სჯაო. ბევრი გაუგონია და როდესაც უნდა რამესი დაწერა, ერთს მუხლს იქიდამ ამოიღებს, მეორეს აქედამ, ერთმანეთზედ გადააბამს, და ბაქიაობს—ჩემიაო, ისე როგორც ქურდი, რომელიც გადაჯდება მოპარულ ცხენზედ და ამაყოფს—ჩემია შინ გამიზდიაო და სხვ. ვინც იცის, რასაკვირველია, მიუხვდება, მაგრამ უმეტესობა კი ყოველთვის უმეცარია და გულ-წრფელი და ცოტა ხნით მოსტყუვდებაო. აი რათა სწერს ის მწერალი უხვათაო,—ამიტომ რომ თავის საკუთარი არა ეხარჯება-რაო! სულ მონაპარავი აქვსო. და როდესაც საუბარზედ მივარდება საქმე, იქ კი კოჭლობსო, იმიტომ რომ ენის მოპარვა არ შეიძლებაო".

თუ ეს მართალია, სწორეთ რომ მარჯვე კაცი ყოფილა: მოპარვასაც შნო უნდა! ის უფრო ცუდი არ არის, რომ კაცი თავისასაც ჰკარგავდეს.

ბევრი იმ აზრის არის, რომ ოღონდ კაცმა თავი კი გამოიჩინოს და რითაც უნდა იყოს, სულ ერთიაო. გული არ მაძლევს ნებას, თორემ თავით მეც ვეთანხმები: მართლათაც, ამ ქვეყანაში სამუდამო არა არის-რა,—მოკვდები და გაჰქრები! მერე გინდ კარგი სთქვან შენზედ, გინდ ავი, სულ ერთია, ვერც ერთს ველარ გაიგებ. ეს მხოლოთ, ბავშვების და სულელების მოსატყუებელია. ერთი ეს არის მხოლოთ, რომ სიცოცხლეშივე კმაყოფილი და მოტყუებული თავ-მოყვარეობა: სიკვდილის შემდეგ მაინც მექნება სახელიო!

მაგრამ აქაც ერთი რამ ახირებულობა შევნიშნე: ამასაც იმისთანები ჰფიქრობენ, რომლებიც სიცოცხლეშიაც ატყუილებენ ქვეყანას და ხალხს თვალს უხვევენ. აქაც კიდევ ისინი არიან მოგებას, და პატიოსანი მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია, ამოდენა ქართველი ხალხი წინა წლებში ამ დღესასწაულ დღეს არა ყოფილა. მომეტებით უფრო ესრედ წოდებული დაბალი ხალხი იყო, ვიდრე საზოგადოების ნაწილი. მთელი ეს დიდი ტაძარი სავსე იყო კაცითა და მეტადრე დედა-კაცითა, კანკელიდამ დაწყებული შესავალამდის გაჭედილი იყო. რა იყო მიზეზი რომ ყოველთვის და ყოველ მხარეს საქართველოში დიდ დღესასწაულად მიჩნეული წმიდა-ნინოს დღესასწაულს დღეს სიონის სობოროში შეიკრიფა. მიზეზს თვით ეკკლესიაში შეიტყობდით; ძლივს ჩვენი გალობა გავიგონეთო, ჩვენი გალობით წირვაო. ყოვლად უსამღვდელოესმა, ეგზარხოსმა პატივცემულმა მწყემსმა იოანიკემ; მას აქეთ რაც ჩვენი სამწყსო მიიღო ქართულ წირვა-გალობას გზა მისცა. როგორც განათლებულმა კაცმა იცის რომ ძველ ქართველ ქრისტიანობას ისტორიულად, საუკუნოებით შეხორცებული აქვს როგორც თავისი სახალხო ნაწარმოები, წირვა-ლოცვა, გალობა, ენა და სადღესასწაულო ჩვეულებანი. წმინდა-ნინოს დღესასწაულს სწირა უპატივცემულესმა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ თფილისის სამღვდელოებითურთ.

***

ჩვენ მივიღეთ ჩვენის გორელის კორრესპონდენტისაგან შემდეგი შენიშვნა:

„ამას წინათ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი და „თფილისის მოამბეშიაც“ გადაბეჭდილი კორრესპონდენცია, რომ ერთმა მღვდელმა ეკკლესიიდგან გამორეკა მეფე-დედოფალი და არ დასწერა ჯვარი, თუ ამდენსა და ამდენსა არ მომცემთო.

ამის თაობაზე, როგორც შევიტყე, ექსარხოსს გამოძიება დაუნიშნავს და მიუნდვია რომელიღაც ბლაღოჩინისთვის, რომ შეიტყოს—ვინ არის ის მღვდელი.

„ამ ნაირათ ბევრი მღვდლები იქცევიან. როგორც მე გადმომცეს, ახრისის მღვდელს მოუხდენია ამ გვარი საქმე. მომქმედი კი იმ საქმისა, რომელზედაც „დროებაში“ იყო დაბეჭდილი, სხვა სოფლის მღვდელიაო.

„იმ დალოცვილ კორრესპონდენტს მოეხსენებინა პირ-და-პირ, თუ ვინ იყო; რაზე გახდა მიზეზი მიწერ-მოწერისა. ურიგოს არ იზამს უფ. ავტორი იმ კორრესპონდეციისა, რომ გამოაცხადოს მომქმედი პირი იმ ბოროტებისა.

მე მაკვირვებს ზოგიერთა კორრესპონდენტის საქმე თუ ეშინიანთ, რადათ ჰკიდებენ ხელს კალამს, და თუ არ ეშინიანთ, რაზედაც სწერენ, სწერონ პირ-და-პირ, გამოაშკარებით *). ვინ იცის იქნება ტყუილათაც მოიწერა იმ მღვდელზედ. საზოგადოდ, ძალიან გამრავლდნენ პროვინციებში კორრესპონდენტები, ვინც არა მგონია და რასაც არა მგონია სწერამენ. ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, მაშინვე გაზეთში გარბის“.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის თეატრი, რომელსაც უფ. პოსტ. ხარაზოვი აშენებს საქალაქო მიწაზედ, თითქმის სრულიად მზად არისო და მომავალ თვეში, თებერვალში, წარმოდგენები დაიწყებაო. თეატრი, როგორც გვწერენ, თითქმის თფ. საზაფხულო თეატრის-ოდენა არისო, ლოჟებიც იქნებაო, სულ 500 კაცამდინ დაეტევაო.

***

ქუთაისიდამ იწერებიან, რომ უფ. ნიკ. ღოღაბერიძეს, რომელიც „საურთიერთო ნდობის ამხანაგობის“ (ბანკის) მმართველათ იყო ამორჩეული, უარი უთქვამს ამ თანამდებობაზედ. მართლა და ერთსა და იმავე დროს ყოფნა გამგებლათ საადგილ-მამულო ბანკისა და „საურთიერთო ნდობის ბანკისა“ შეუძლებელია, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში ამ ორ ბანკთა ინტერესები ერთი და იგივენი არ არიან და შეიძლებოდა, რომ ეს ინტერესები ერთმანეთს შეტაკებულიყვნენ. ამიტომაც სასიამოვნოა, რომ უფ. ნ. ღოღაბერიძის კეთილ-გონიერებას დაუძლევია....

*) ამ გვარ ბოროტ-მოქმედ პირების დასახელება და გამოაშკარავება ხშირად ავტორსაც სურს და კორრესპონდენტსაც, მაგრამ სხვა-და-სხვა, ადვილად მისახდომ, მიზეზით არ ხერხდება ხოლმე.

რედ.

***

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი ბათუმიდამ მიღებული წერილი დავბეჭდოთ გაზეთში:

„ერთი უბრალო საქმე შემემთხვა, რომელიც უნდა მოგწეროთ; უბრალო შემთხვევაა, მაგრამ ამ ახალ დაპყრობილ მაჰმადიან საქართველოში ამ გვარ შემთხვევასაც მნიშვნელობა ეძლევა ხალხის თვალში. აი რასში მდგომარეობს საქმე:

„ამას წინათ ერთს პოლიციის მოხელეს დაეჭირა რაღაცასთვის ერთი მაჰმადიანი თათარი და უმოწყალოთ სცემდა. უეცრად წავატყდი ამ ამბავს და უთხარი დესიატნიკს—რათა სცემმეთქი, თუ რამ დანაშაული აქვს, პოლიციაში ან სასამართლოში წაიყვანე და იქ გაასამართლებენ-მეთქი.

„როგორ თუ ეს მითხარიო, რა შენი საქმე არისო,—დაუძახა თავის ამხანაგს, ახლა მე მტაცეს ხელი და წამათრიეს პოლიციაში. აქ პოლიციმეისტერი არ ბრძანდებოდა, მწერალმა მოახდინა განკარგულება და ამ მწერლის ბრძანებით ერთ მთვრალ სალდათთან ერთად ჩამსვეს სატუსაღოში.

„საღამომდინ ამ სატუსაღოში ვიყავი, საღამოს კი როგორც იყო განმათავისუფლეს.

„აი ეს გახლავთ სულ ეს ამბავი, რომელიც ღირსია ყურადღებისა მხოლოთ იმიტომ, რომ ეს ამბავი ბათუმში მოხდა...“

12 იანვარს თფილისში მცხოვრებ რუსის სტუდენტებმა იდღესასწაულეს მოსკოვის უნივერსიტეტის 125 წლის იუბილეი. დღესასწაულზე, რომელიც თფილისის სობრანიეში (კლუბში) იყო გამართული, თითქმის ასამდინ ძველი და ახალი სტუდენტი დაესწრო რუსეთის სხვა-და-სხვა უნივერსიტეტისა. როგორც ყოველ ამ გვარ შეკრებილებას შეეფერება, რამდენმამე პირმა წარმოსთქვა სიტყვა საზოგადოთ განათლებისა და უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე და განსაკუთრებით მოსკოვის უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე. ზოგიერთებმა წარმოსთქვეს სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადეს სურვილი იმ დროის მოსწრებისა, როდესაც თფილისშიაც ყოფილიყოს გახსნილი კავკასიის უნივერსიტეტი; ყველამ ალტაცებით მიიღო ეს აზრი... მაგრამ ჯერ კი საქმე მარტო სიტყვით, ცარიელი მოლაპარაკებით გათავდა...

მაგიერად კრებამ მოაგროვა რვაას მანეთამდინ მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

***

მოგვყავს ზოგიერთი საინტერესო ციფრები, კავკასიის მხრის განათლებაზე ხარჯის შესახებ, იმ სიტყვიდამ, რომელიც უფ. ლომიძემ წარმოსთქვა 12 იანვარს სტუდენტების სადილზედ:

„სავაჟო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის ამ ჟამად წელიწადში 357 ათასი მანეთი იხარჯება, საქალაქო, უეზდის, პირველ-დაწყებით და ნორმალიურ სასწავლებლებისათვის წელიწადში 113 ათასი მან., საქალებო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის 9 ათ. მან., სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სემინარიისათვის—54 ათ. მანეთამდინ, თფ. მუსულმანის სასწავლებლისა, მთიულების პანსიონისა და ზაქათალის სასწავლებლისათვის—11 ათ. მან., ამას გარდა 20 ათ. მანეთამდინ იხარჯება წელიწადში სხვა-

მელნი კი ამითაც ვერ ნუგეშობენ...

ახირებულია ხალხის საქმე: საბოლოვოთ თუმცა კი არასოდეს არ მოსტყუვდება, მაგრამ მოკლე ხნობით კი ხშირად სტყუვდება, მეტად გვიან იცის თვალების გამოხელა.

მთვრალსა და ლოთს კაცს ხშირად ჭკვიანს ეძახიან, გინდ რომ სულელიც იყოს და აი ეს რის მიზეზია: მუდამ მთვრალმა რაც უნდა სისულელე სთქვას, მაინც არ დაძრახვენ: მთვრალიო, იტყვიან, რა ვუყოთ, რომ სისულელე რამ წამოროშოს! მაგრამ, თუ ერთი რამ ჭკვიანური წამოსცდა უნებურად, მაშინ კი ასტყდებიან: ეს რომ მთვრალია და ამისთანა ჭკვიან რამეებს ამბობს, რომ არ თვრებოდეს, მაშინ რაღა იქნებოდაო?!.

სწორეთ ამგვარსავე მდგომარეობაშია ის ბაქია და თავ-ხედი კაციც, რომელსაც ჭკუისა და ნიჭის ხმა ერთხელვე თვალ-მაქცეობისა და გაიძვერაობის წყალობით გავარდნია: თუ რამე წასცდა ჭკვიანური, ტაშს უკვრენ, და, თუ რამ ისულელა, მაშინაც აქებენ, რადგანაც უმეტესობას, თუმცა კი არა ესმის-რა იმ შემთხვევაში, მაგრამ ჰფიქრობს, ვაი თუ კარგი რამ იყოსო და მე ვერ მიმხვდარიყოვო, და იფერებს...

და თუ ერთი ან ორი ვინმე გამოჩნდა მთქმელი და მამხილებელი იმ კაცის სისულელისა, ჯამბაზი მაშინაც არ იტეხს გულს: თქვენ ჩამორჩით, სხვებს, ჭკუა აღარ გიჭრისთ, მე კი მომავალ საუკუნოებში დამაფასებენო და სხ.

ეჰ, რა კარგია ამისთანა თავმოყვარეობა! ნეტავი იმას, ვინც ისე დაბრმავებულია, რომ თავი ჭკუიანად, პატიოსნად და ნიჭიერად მიაჩნია, და არც ერთხელ ეჭვში არ შედის!

მეტყვით—ეს ხომ გიჟობააო! არა, გიჟი ის კი არ არის, ვინც ამაებს ჰფიქრობს, გიჟები ისინი არიან, რომელთაც სჯერათ და ჯამბაზი ნამდვილ მშრომელისაგან ვერ გაურჩევიათ....

ამასაც თავი დავანებოთ; ჯამბაზები იქით იყონ. ჯამბაზობასაც კიდევ რამ ეპირვება; მაგრამ ნაცარ-ქექიებიც რომ ატყუებენ ქვეყანას! ხომ გაგიგონიათ ეს ზღაპარი:

ერთი ნაცარ-ქექია წყალ-გამოღმა იდგა და დევი კი წყალ-გაღმა. ნაცარ-ქექიამ შესძახა დევს:

— გამოდი ახლავ და წყალში გამიყვანე, თორემ მოგიჭერ ხელს და გაგჭყლეტ ამ ქვასავით, სულ ასე რძეს გადენ!... ამოიღო გუდიდამ ახალი ყველი, მოუჭირა ხელი და მართლა წყალი გაადინა.—ახლა შენ მიჩვენე, თუ ღონიერი ხარ?! უთხრა დევს.

იმანაც მოუჭირა ხელი ქვას, დაფშვნა, მაგრამ წვენი კი მაინც ვერ გაადინა, და ამ შემთხვევამ ისე კი დააფიქრა ის ძლიერი დევი, რომ დაიჯერა ნაცარ-ქექიის გოლიათობა...

ხალხიც სწორეთ იმ დევსავით სტყუვდება ხოლმე ხშირად და ამითი საზოგადო საქმე ბევრს ჰკარგავს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა ცრუ-ბოლანების რიცხვი დღითი-დღე მატულობს ჩვენში, და მე მგონია, რომ დრო იყოს იმათი ძლიერებაც გამოაშკარდეს და საქმეც კი თავის რიგიან გზაზედ დადგეს...

ვეცდებით, რომ ეს ნაცარ-ქექია გმირები მეიდანზედ გამოვიყვანოთ და იმედია, პირადობათ არავინ ჩამოგვართმევს. ჩვენ არც არავის სახელს ვახსენებთ, და არავის გვარს, ისე ვუძღვნით ხოლმე კვირაში თითო წერილს და თუ ვინმემ, ჩვენდა-უნებურად, თავის-თავზედ მიიღო, ძალიან კმაყოფილი ვიქნებით...

ჴკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-სხვა სასწავლებლის საჭიროებისათვის.

„ამნაირად კავკასიის ყველა სასწავლებლებზე წელიწადში იხარჯება 562000 მან., 50 ათ. მანეთი გადადებულია კიდევ ქუთაისში და ერევანში სამასწავლებლო სემინარიის გასახსნელად.“

* * *

ამ კვირას, ღამით, ქურდებმა ამოჰგლიჯეს უფ. ბოზარჯიანცის თამბაქოს მაღაზიის (შტაბ კვეშ) პოლი და წაიღეს ხუთმეტ თუმნამდინ ფული და რამდენიმე ასი გაკეთებული პაპიროზები. დამომძიებელმა შეამოწმა, რომ ქურდები ქალაქის მთავარ არხიდამ შემომძვრალან ან სოლოლაკიდამ და ან მუხრანიანთ ხიდიდამ. ბოზარჯიანცის მაღაზიის გარდა იმათ განუზრახავთ კიდევ დავიდოვის მაუდის მაღაზიის პოლის ამომტვრევა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**გორი, 13 იანვარს.** ბევრჯელ გაუკიცხავთ ქ. გორი, ე. ი. მწარემწარეები უთქვამთ გორელებზე, მის მმართველებზე, ვაჭრებზე; სხვათაშორის მეც, თქვენმა მონამ და მოსამსახურემ, ჩემო მკითხველო, არა ერთ გზის გამოვთქვი ბეჭდვით ამ ჩვენი ქალაქის ათას ნაირ ნაკლებულებაზედ, ბევრჯელ ვკიცხეთ მოთავე პირები; მაგრამ რა გამოვიდა? მოგახსენებათ უსვინიდისო კაცს რომ გაჰკიცხამთ, ჯერ გაგედლუყებათ, შემოგიტევსთ, მაგრამ უცბათ რომ გაუტყვრენ იმ დალოცვილ გაფარჩხულ სილას მსუქან ყბაში, უკან ჩამოდგება და თავაზიანად მოგახსენებთ! „ოჰ როგორ ბრძანდებით ამათთანა ხალხს არაფრისა სცხვენიანთ.

ღვთის წინაშე, კაცმა ტყუილი არ უნდა თქვას: ბევრ უსინიდისო კაცს უკრავს კრიჭას, აფერხებს, უკან ახევინებს ბეჭდვით გამოაშკარავება იმისი უსვინიდისო საქმეებისა. ბევრი კი პირზედ მურს ჩამოისვამს და ვითომ ვერავინ მხედავსო, დადის ქუჩა-ქუჩა და უსვინიდისოობს. რასაკვირველია, ამ პირზე მურს-ჩამოსმულს თავისი ამქარი ჰყავს, რომელიც ამასგზას აძლევს, ხელს უმართავს.

გორი პატარა ქალაქია. მაგრამ საკვირველია, რომ ეს პატარა ქალაქი როგორ იტევს თავისში ამდენს სიკვდარ-ძაღლებს—უკაცრავათ, გორელებო, ამ სიტყვაზე,—ალბათ გამწევი ფიზიკური სხეულია..

საკვირველია ჩემი საქმე, რაზე ვლაპარაკობდი და სად გადავხტი... დიახ, უსვინიდისო ხალხზე მოგახსენებდით... რამდენი რამ იწერებოდა უფ. დ.,—მაგრამ ჩამოისვა პირზე მური და შენ არ მომიკვდე აღარ მოიშორა. თუმცა წელს გორელებს კინაღამ ტარბიც მოჰგვარა, მაგრამ კიდევ არ შეიწყნარეს, და უმადურმა ხალხმა გადააყენა ხელოსნების მეთაობიდგან, ძლივს, ძლივს!...

ხალხმა აირჩია და უმაღლესმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა ხელოსნების თავად უფ. გრ. თუთუნოვი. ეს გახლავსთ ახალ-გაზდა კაცი, უვლია აქეთ-იქით, მოხვედრია ხალხს, ცოტაოდნათ სვინიდისიანსა, და, ქართული ანდაზისა არ იყოს „ხარი ხართან დაბიო ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, უცვლია ზნე, ფერი, გორული ტყავი გაუხდია და ცოტა არ არის, რომ განათლებულებში სდებს თავს და არის კიდეც რიგიანი კაცი, როგორც ჯერ ხნობით სჩანს, თუ იმ საძაგელი ტყავის სუნი არ გაჰყვა ბეჭებზე. რაც უნდა იყოს ეს უფრო ხელ-მოსაჭიდი კაცია უწინდელზე. ამ შემთხვევაში გორის ხელოსნებმა გამოიჩინეს ჭკუა და ხალხის ცნობა.

გასული წლის ნოემბერში იყო თურმე, როგორც გადმომცეს, ყრილობა ხელოსნებისა რაღაც საქმის თაობაზედ, მგონი მილიციონერების ფულზე—ჯამაგირზე. ახალი ხელოსნების უფროსი გამოვიდა, ხალხში შეიქნა სიჩუმე, და სთქვა მიახლოვებით შემდეგი სიტყვები:

—ბატონებო, მინამ მოგახსენებდეთ იმას, რისთვისაც ხართ მოწვეულნი, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა საკუთრივ ჩემზე: მებედნიერათ ვრაცხ ჩემ თავს, რომ ქალაქის მოხარჯე, პატიოსანმა ხალხმა ამომარჩიეთ თქვენს მოთავედ, მაწარმოებლად სახელოსნო გამგეობისა. ალბათ რამე სიკეთე მიმიძღოდა საზოგადოების წინაშე, ალბათ რითიმე დავიმსახურე მე თქვენი სიყვარული, და დარწმუნდით, რომ მე თქვენს ჩემდამი სიყვარულს, რწმენას და ნდობას არ გავაცრუებ და რაც ძალი და ღონე მექნება, პირნათლად გემსახურებით, არა ვის დავაჩაგვრინებთ. აი მიიწურა თითქმის ოთხი თვე, რაც შევსულვარ სამსახურში და ეხლა პირველად მაქვს ბედნიერება თქვენთან საზოგადო საქმეზედ ბაასისა. მომიტევეთ, თუ რაიმე შეცოდება მაქვს, როგორც ახლად შესულს და გამოუცდელს, რომელიც (შეცოდება) არა მგონია მამეხდინოს...

შემდეგ ამისა, ხალხმა მადლობა გამოუცხადა და დაიწყეს სხვა-და-სხვა საქმეებზე ბაასი. რადგანაც ახალს გახსნილს, ხელოსნების გამგეობას არ ჰქონდა წყარო თუ რითი შეენახა მსახურნი გამგეობისა, ყრილობამ იკისრა, რომ გადეეხადნათ მახთის ფული მანეთის მაგიერ ექვსი აბაზი, რომელიც შეადგენს წელიწადში ათას ორას მანეთს და ეყოფა გამგეობას.

სხვათა შორის ჰქონდათ ბაასი მილიციონერებზე. გორმა დაიქირავა ჯამაგირით ოც-და-ერთი კაცი წარსულ ომში გასაგზავნათ. ეს საცოდავები, წავიდნენ, იომეს, ბევრი ვაივაგლახი გამოიარეს და ჯერეთ რამდონიმეს ჯამაგირი არა აქვთ სრულებით მიღებული. ამათი მისაღები ფული გორელებისგან იკრიფებოდა, შეკრიბეს კიდეც, მაგრამ კი არ მისცეს ჯამაგირი. რა მოგახსენოთ, რა ჩემი საქმეა, ამაზე ვკითხოთ უწინდელ ხელოსნების თავს—„სტარასტას“. თუ უკაცრავათ არ ვიყოთ, ბატონს დ., გკითხავთ:—რა უყავით ფულს? შეკრიბეთ? თუ შეკრიბეთ, რაღაზედ გახადეთ საყაყანოთ საქმე? — ლომმა რომ პატარა ცხოველებს წაართვა მთელი ნანადირევი, ისე ხომ არ მოხდა საქმე...

ეხლა კამისიაა დანიშნული ამ მილიცაონერების საქმის გასარჩევად, გამოსაჩხრეკად და იმედია, რომ კამისიის წევრნი ამ საქმეს გულ-გრილად არ მოეპყრობიან.

ქვეყნის დაქცევას მოვიფიქრებდი და ამას კი ვერ, თუ გორელ სომეხს, ისიც სომეხს-ვაჭარს ქართველი მოატყუებდა. აი, დიდება შენდა ღმერთო! ესეც ახალი ამბავი ჩამომავლობითი ნიჭი ამათი ვაჭრობაა. ის ვაჭარი მდიდრდება, რომელიც უფრო ბევრს ატყუებს, ბევრს აბამს ობობასავით თავის ქსელში. მაგრამ ობობასაც მოუვა ხოლმე დრო „უტეხ-ტყეში გლიჯინისა“...

იმ დღეს რაღაც ჩემი საქმისთვინ გორის მომრიგებელ სასამართლოში შევფრატუნდი. შევხედე, დგანან ორნი, მწარეთ დაძმარებულნი და ყურებ ჩამოყრილნი ვაჭრები—სომხები. ამათი დაძმარების მიზეზი არის შემდეგი:

მომრიგებელ სასამართლოში სწერს ვილაც უფ. თ—ლი, ამბობენ, ძალიან გაცვეთილი და გახეხილი აზნაურიაო. ეს შეურიგდება ორ სომეხს—ვაჭარს, რომ მე ბლომად მაქვს ქერი გასაყიდიო და მოგყიდითო. წაიყვანს სოფელში და დააყენებს ორმოზე,—აი ჩემი ქერი, მამეცით ბეი და როცა გინდათ, მოდით და აიწყეთო. დასჩინჩლავს ოც-და-ორ თუმანსა. მივლენ რამდენიმე ხნის შემდეგ, ვაჭრები, მოხდიან ორმოს. აქ გაჩნდება ნამდვილი პატრონი ქერის ორმოსი და ძაან ძაანებსააყვავინებს ამ სომხებს. წამოვლენ მწარედ გულ-დათუთქულები და მოტყუებულები, და დააპირებენ საჩივარს. ამას გაიგებს უფ. თ—ლი და წინ-და-წინ მისცემს მოსამართლეს ქაღალდს (**встрѣчный искъ**), რომ ეს და ესენი აპირებენ საჩივარს, ვითომ მე იმათ ფული გამოვართვი, ეს სულ ტყუილიაო, ამას ისინი ვერ დაამტკიცებენო და სხვ. ამისთანეები.

ბევრს ცუდს საქმეებს სჩადის თურმე ეს ბატონი „სუდის“ მწერალი და მიკვირს აყენებს მაგისთანა კაცს სასამართლოში უფ. მოსამართლე, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან პატიოსანი და წმინდა კაციაო. დღეს თუ ისინი მოატყუა, რომლების მოტყუება ძალიან ძნელია, რასაკვირველია, რომ ეგ ბატონი საცოდავ გლეხებს სულ თავიდამ ბოლომდინ მოტყუების ბადეს გადააფენს და ყოველ დღე დასჩინჩლამს საცოდაობით ნაშოვნ გროშებს. ამაში ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება.

წარმოიდგინეთ, თითო მწერალს თუმან-ნახევარი აქვს თვეში და ძალიან ბევრი ოც-და-ხუთი მანეთი, მაგრამ, თქვენმა მზემ, ისე გამოპრანჭულები დადიან, რაღა მოგახსენოთ. ქაღალდშიაც აგებენ ფულს, ცოლშვილსაც აცხოვრებენ. საიდგან, თუ ბრუდე გზით არ შოულობენ ფულს, თუ არ ატყავებენ საცოდავ სასამართლოში მისულ გლეხებს? საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება უფ. მომრიგებელ-მოსამართლეებმა.

კოხი.

## უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ჩერნოგორელების და ალბანელების შეტაკების თაობაზე გაზეთებში იწერებიან, რომ ოსმალეთის მთავრობა ძალას ატანს ჩერნოგორიელებს, რომ მოაწერონ ხელი იმ დოკუმენტს, რომლის ძალით პლავისა და გუსინიეს მაზრები ოსმალებს უნდა მიეცეთ, მთავარს ნიკოლოზს შეუთვლია ამ დოკუმენტს ხელს არ მოვაწეროთ მანამ ალბანიელებს არ გამოიყვანენო და იარაღს არ წაართმევენო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსმალეთი იქმნება პასუხის გამცემი და გადიხდის იმ ხარჯს და ზარალს, რომელიც მოუვათ ჩერნოგორიელებს.

— ცეტინიიდამ იწერებიან გაზეთ „პოლიტიკში“ რომ ალბანელებს 8000 ჯარის კაცი ჰყავთ, ჩერნოგორელებს კი ანდრეევიცთან 700 კაცის მეტი არა ჰყავთ. ეროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გამოუცხადეს ერთხმათ ჩერნოგორიის მართებლობას, რომ ნებას არ მისცემენ მათ აუწერონ ოსმალებს მეჩეთების ქონება.

— ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ იწერებიან 10 იანვარს: „აქ გავრცელებულია ხმა, რომ აბდულ-რახმანი მოდისო. აბდულ-რახმანი არის ერთი უკანასკნელი ჩამომავალი დოსტ-მაჰომედისა და დიდი გავლენა აქვს ქაბულში. ამბობენ, რომ აბდულ-რახმანი აპირებს გერატში წასვლას. იქ ხალხი დიდის ალტაცებით მიიღებს მას. ინგლისელებს ურჩევს ეს გაზეთი, რომ მიიღონ ეს გარემოება სახეში და გაამაგრონ გერატი.

## სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შემდეგ პირების საქმეები განსახილველად:

16 იანვარს

1). კონსტანტინე ხრაპოვიცკის, რომელსაც ბრალდება ქმმაკობა (შულერობა) კარტის თამაშობის დროს.

2). ალალო ბატიევისა-ბრალდება სითაროვის მკვლის განზრახვა.

17 იანვარს

1). იბრაგიმ ალი-ოვაშა-ოღლისა—ბრალდება უბანდეროლით თანბაქოს გაყიდვა.

2). ზეპან ალთუნაშვილისა—ბრალდება მელანია კაკოლაშვილის ქალის წვალება.

19 იანვარს

1). თედო გოგრანიძესი—ბრალდება კარაპეტოვის გაქურდვა.

2). ეკატერინე მანანოვისა—ბრალდება ნება-დაურთველად არაყის გამოხდა.

21). ი ა ნ ვ ა რ ს

1). ნიკო ხოხობაშვილისა—ბრალდება ლესნიჩის ყორღანოვის შეურაცხყოფა, როდესაც ეს თავის თანამდებობას ასრულებდა.

22 ი ა ნ ვ ა რ ს

1). ჯალალ ქიაზუმ-ოღლისა—ბრალდება ალ-შიხალ-ოღლის მოკვლა.

2). ზაქარია ელიბაშვილისა და თედორე გიგოლაშვილისა — ბრალდებათ ტუსაღების გაშვება.

24). ი ა ნ ვ ა რ ს

1). ზურაბ გორგაძისა—ბრალდება სავლე ლუკოვკინის გაცარცვა.

26). ი ა ნ ვ ა რ ს

1). კურბან ბაირამ-ოღლსა, გიგოლა აზნანარაშვილისა იოსებ გელენტარაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ თ. ჯორჯაძის გაქურდვა.

---

# განცხადებანი

დღეს, ოთხშაბათს, 16 იანვარს

**ქართულ ტრუპპისაგან**

საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება

**მე მინდა კნეინა გავხდე**

ორ-მოქმედებიანი კომედია ზ. ანტონოვისა

და

**თილისმით მოარშიყე**

ორ-მოქმედებიანი ვოდევილი თ. გ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება თეტრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

დაიწყობა საღამოს 7 ნახევარ საათზე

---

**თფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით ამ წლის 26 იანვარს დანიშნულია ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ მტკვარზედ ორი ახალი პარომის გაკეთებისა, რომელთა შორის ერთი უნდა იყოს საზაფხულო თეატრის პირ-და-პირ, მეორე მირზოევის ქარხანის პირ-და-პირ. ვისაც პირობების შეტყობა ჰსურს შეუძლიან მიმართონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა საუფლო დღეებისა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—1)

---

**სავაჭრო სახლი**

# იაგ. კასუმოვი და კომპ.

სთხოვს ფაეტონების, დროჟკების, ფურგუნების, პავოზკებისა და სხვ. პატრონებს მობძანდნენ ბილეთების ასაღებად 1880 წლისათვის კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანიშვილის სახლებში.

(10—1)

---

თფილისის სასულიერო სემინარიის პრავლენია აცხადებს, რომ ამავე სემინარიის შენობაში იძლევა ქირით ერთი საყინულე და სამი პოდვალი სხვა-და-სხვა ნივთების შესანახავათ. ვისაც სურს ქირით აღება ზემოხსენებული საყინულესი და სამი პოდვლისა შეუძლიანთ მიმართონ უფ. სემინარიის ეკონომს პირობის შესატყობრათ ათ საათიდგან ვიდრე ორ საათამდინ.

სემინარიის ეკონომი ს. შოშიევი.

(2—1)

---

**სახაზინო**

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი აცხადებს, რომ ამა 1880 წლის თებერვლის თვის 11-ს გაისყიდება თფილისში ქვემოხსენებულ პირთა უძრავი მამულები (სახლები), რომელიც დაგირავებულია პრიკაზში, რადგან ამ სახლების პატრონებს თავის დროზე ვერ შემოუტანიათ ფული ვალისა და იმის სარგებლის გარდასახდელად; სამი დღის შემდეგ დანიშნული იქნება ხელ-მეორედ ვაჭრობა (პერეტორჟკა):

1) ერთ-სართულიანი სახლი სოლომონ ჯავროვისა—ქალაქის 1 განყოფილების 1 უჩასტკაში, დავიდოვისა და ოვრაგის ქუჩაზე, № 106. სახლი დაგირავებულია 1877 წელს, ვალი 2,000 მან.

2) ერთ-სართულიანი სახლი დიმიტრი ბელონოვსკისა—2 განყოფ. 14 უჩასტკაში, ავლაბარში, № 378. დაგირავებულია 1876 წ. 1,000 მან.

3) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის ივანე არუთინოვისა—2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1876 წ. 2,000 მან.

4) ამისივე ორ-სართულიანი სახლი, 2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1875 წ. 2,000 მან.

5) ორ-სართულიანი სახლი ელისაბედ ფირუმოვისა, 1 განყოფ. 8 უჩ., ძველ ციხის ქუჩაზე. 1877 წ: 2,200 მ.

6) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის სარქის სარქისოვისა—1 განყოფ. 1 უჩასტ. მე-10 ნავთრნის ქუჩაზე, № 336. დაგირ. 1877 წ. 1,800 მან.

7) ორ-სართულიანი სახლი მართა მარქაროვისა—1 განყოფ. 2 უჩასტ.. ლაბარატორის ქუჩაზე. 1870 წ. 1,800 მან.

8) სამ-სართულიანი სახლი ეკატერინა ხალათოვისა—1 განყოფ. 1 უჩ., არსენალის ქუჩაზე, № 87. დაგირავ. 1868 წ. 22,500 მან. ამ ჟამად ეს სახლი მიხეილ და ისაკ ფულინოვებს ეკუთვნის.

9) ორ-სართულიანი სახლი აზნ. იოსებ დავ. ბაბაშვილისა—1 განყოფ. 1 უჩასტ., ოლგინის ქუჩაზე. 1877 წ. 6,000 მან.

10) ორ-სართულიანი სახლი აარონ და მიხეილ სტეფანეს ძეთ კამოევებისა—1 განყ. 6 უჩასტ., დოქტორის ქუჩაზე, № 78. დაგირავ. 1859 წ. 2,400 მან.

ვისაც ამ ზემო მოყვანილ მამულების ყიდვა ჰსურს, დაფასებითი სიების ნახვა პრიკაზში შეუძლიან.

(5—3)

---

# რედაქციისაგან

დღეის იქით ყოველგვარი ტელეგრამმები დაიბეჭდება „დროებაში“ იმავე დღეს, რა დღესაც თფილისის დანარჩენ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი, და არა მეორე დღეს, როგორც აქამდისინ იბეჭდებოდა ხოლმე.

ამას გარდა „დროებაში“ დაიბეჭდება სახაზინო **განცხადებანი: საინტენდანტოსი**—სხვა-და-სხვა პ ო დ რ ი ა დ ე ბ ი ს ა (იჯარებისა), პ ო ს ტ ა ვ კ ე ბ ი ს ა და სხვ. და აგრეთვე **პრიკაზისა**—მ ა მ უ ლ ე ბ ი ს გ ა ს ყ ი დ ვ ი ს თაობაზედ.

---

1 8 8 0 წ ე ლ ს

# „დ რ ო ე ბ ა“-„ი ვ ე რ ი ი ს“

**გამოცემაზედ**

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „**ივერია**“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში: „**დროება**“-„**ივერიის**“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.*

**ფასი**

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს.. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ | , ერთად | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება —5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

**რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“** { **თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.**

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „**რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ**“ ფირმით

**სავაჭრო სახლი**

# იაგორ კასუმოვი და კომპ

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმებას დაეხმაროს.

**თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს**

# 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა.

მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივინდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

**ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.

3) შესანახავად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებელად საჭირო საგნები გააიაფოს თფილისში.

**ამხანაგობა მ ი ი ღ ე ბ ს:**

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წელიწადში.
— — კვირაობით გადაიხდიან 7% წელიწადში.

**თ ვ ი თ ო ნ ა ძ ლ ე ვ ს:**

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპირობოთ და პირობით } $4\frac{1}{2}$ პროცენტს.
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში**
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
9 თვით — 6 „
1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა ღიაა დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი